

საქართველოს ძველ ბოლშევიკთა საზოგადოებრივ მხედრე 1936-1938 წლებში. მსხვერპლთა კლასიკის ანალიზი

THE PURGE OF THE OLD BOLSHEVIK SOCIETY OF GEORGIA IN 1936-1938.
CLUSTER ANALYSIS OF THE VICTIM

ირაკლი ხვადაგიანი
მკვლევარი, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია

Irakli Khvadagiani
Researcher, Soviet Past Research Laboratory

Summary

Cleansing of the “old guard“ of the Bolshevik party during the Great Soviet purge, somehow still holds its place in the collective memory of Georgian society. But, it never was a subject of specific research to show the local – Georgian dimension. The Soviet Georgian branch of All-union “Society of old Bolsheviks “was established in 1929 and archive data and biographical sources are still stored in a former IMEL archive in Tbilisi. This data gives the possibility to reconstruct the process of destroying the cluster of old Bolsheviks and leads us to verify those stereotypical prejudices which are presented in the collective memory of Georgian society. Current article presents analyses of the social background, ethnic structures, education specter, party experience etc. of the members of Georgian SSR “Old bolsheviks society”. This statistical and biographical analyses of sources also show us the understanding of the social bases and profile of the Bolshevik party in Georgian until 1917 and after the Soviet occupation in 1921. Same time, analyses of the dynamics of the terror against them in 1937-1938 and the specter of accusations help us to understand – which place was designed by NKVD for the old Bolsheviks of Georgia in Dramaturgy of the Great Purge of 1937.

1957 წლის მაისში იმელის¹ თბილისის ფილიალმა, საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანს, ვასილ მუჟვანაძეს მოცულობითი დოკუმენტი წარუდგინა² – 69 ძველი რევოლუციონერი ბოლშევიკის ბიოგრაფია, რომელიც „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ მომავალ გამოცემაში – „დიდი ოქტომბრის გამარჯვებისათვის მებრძოლების“ ბიოგრაფიული კრებულის დასაკომპლექტებლად მოსკოვში უნდა გადაგზავნილიყო. აპრილში კრებულის ბოლო პროექტის დამტკიცებამდე „იმელმა“, ბოლო წლებში ხრუშჩოვის მასობრივი რეაბილიტაციების პროცესების პარალელურად პროკურატურის სისტემაში დაგროვილი მონაცემების მიღება შეძლო მომავალი კრებულის პერსონაჟების შესახებ. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პროკურატურამ, აპრილში „იმელის“ მიერ მათთვის წარდგენილი სამუშაო სიის შესახებ პასუხი დაუბრუნა, სადაც აღნიშნული იყო, ფლობდნენ თუ არა ამა თუ იმ პირებზე ინფორმაციას: 72 ძველი რევოლუციონერიდან 28 ამ დროისათვის უკვე რეაბილიტირებული იყო, ხოლო შემდგომ – მეორე გადაზუსტებული სიის მიხედვით კი, მათი რაოდენობა კიდევ რამდენიმეთი გაიზარდა. მუჟვანაძისათვის გადაგზავნილ რუსულ ენაზე მომზადებულ კრებულში, ამ პირების ბიოგრაფიები მთავრდებოდა ფრაზებით, რომ ისინი 1937-1938 წლების რეპრესიებს შეეწირნენ, თუმცა ამ სახით არც დაგეგმილ კრებულში და არც სხვა პუბლიკაციებში, 1980-იანი წლების ბოლომდე ეს ელემენტი არ ასახულა – მეტიც, ქართულ ენაზე დაბეჭდილ ძველ ბოლშევიკთა და რევოლუციონერთა ბიოგრაფიების კრებულებში³ მათი ცხოვრების ბოლო წლებზე არაფერი იყო ნათქვამი, ხშირად კი სიკვდილის თარიღიც ყალბი იყო მითითებული, ალბათ მკითხველს რომ არ დაეთვალა და უხერხული შეკითხვა არ გასჩენოდა – რატომ წყდებოდა ლამის ყოველი მესამე „გმირის“ სიცოცხლე 1937-1938 წლებში.

დიდი საბჭოთა ტერორის დროს ბოლშევიკთა „ძველი გვარდიის“ განადგურება დღეს კოლექტიური მეხსიერების ნაწილია, თუმცა აქამდე არ გვექონია ამ პროცესის სისტემური ანალიზი; როგორი სახე ჰქონდა ამ წმენდას საქართველოში, იქ – სადაც დაიწყო სოსო ჯულაშვილის რევოლუციონერული კარიერა და დახვრეტილთა შორის მისი ძველი ნაცნობ-მეგობრები დომინირებდნენ.

აქამდეც, თავისთავად, რევოლუციონერ-ბოლშევიკთა პირველ თაობებს შორის საბჭოთა ტერორის მსხვერპლთა მასშტაბურობაზე, ხსენებული ბიოგრაფიული კრებულებიც (მიუხედავად გარდაცვალების თარიღების კორექციისა) მრავლისმეტყველ მინიშნებას წარმოადგენდა. ანალოგიურად, 1920-იანი წლების საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ელიტის, კომპარტიის ცეკას ჯგუფური ფოტოებიც კი ნათელი ილუსტრაცია იყო ამ მიკრო დონეზე, თუ რამდენად მაღალი იყო მსხვერპლის სეგმენტი.

1 მარქსიზმ-ლენინიზმის საკავშირო ინსტიტუტის თბილისის ფილიალი.

2 საქართველოს შსს აკადემიის არქივი, მე-2 განყოფილება (ყოფილი „იმელის“ არქივი), ფონდი №14, ანაწერი №28, საქმე №390.

3 მაგ. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში (ბიოგრაფიების კრებული), „საქართველო“, თბილისი, 1961 წ.



საქართველოს სსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, 1927 წელი. ფოტო – საქართველოს შსს აკადემიის არქივის მე-2 განყოფილება (ყოფილი „იმელის“ არქივი).

სხედან პირველ რიგში, მარჯვნიდან: ე.გიორგაძე, კ.სვანიძე, ანდრო დოლიძე (დახვრიტეს 1937 წ.), სამსონ მამულია (დახვრიტეს 1937 წ.), ლადო დუმბაძე (გარდაიცვალა გულაგში 1934 წლის შემდგომ), დათიკო ლორთქიფანიძე (დახვრიტეს 1937 წ.).

მეორე რიგში: ლავრენტი ქართველიშვილი (დახვრიტეს 1937 წ.), მიხაკო კახიანი (დახვრიტეს 1937 წ.), თამარა ადამიძე (დახვრიტეს 1937 წ.), თენგიზ ჟღენტი (თავი მოიკლა 1937 წ.), მამია ორახელაშვილი (დახვრიტეს 1937 წ.), მიხა ცხაკაია, საშა გეგჭკორი (თავი მოიკლა 1928 წ.), ბესარიონ გოგია (დახვრიტეს 1937 წ.), ფილიპე მახარაძე, ვანო ბოლქვაძე (დახვრიტეს 1937 წ.), ლადო სუხიშვილი (დახვრიტეს 1937 წ.).

მესამე რიგში: ნიკო კვიციანი, ალექსანდრე ჯატიევი (დახვრიტეს 1938 წ.), ? , აკაკი ქავთარაძე (დახვრიტეს 1937 წ.), შალვა ელიავა (დახვრიტეს 1937 წ.), ბესო ლომინაძე (თავი მოიკლა 1935 წ.), ვლადიმერ ივანოვ-კავკაზსკი (დახვრიტეს 1937 წ.), ჰუსეინ შაბანოვი (დახვრიტეს 1937 წ.), ნიკოლოზ აკირტავა (დახვრიტეს 1937 წ.), კოწია გურგენიძე (დახვრიტეს 1937 წ.).

თუმცა, რა თქმა უნდა, არსებითი კვლევისათვის უფრო მასშტაბური ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი საჭირო, რისთვისაც საქართველოს „ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების“ საარქივო ფონდი⁴ მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს.

1920-იანი წლების განმავლობაში, საბჭოთა კავშირში რამდენიმე „პროფესიული-პოლიტიკური“ გაერთიანება არსებობდა: ყველაზე ადრეული – „ყოფილ პოლიტკატორღელთა და პოლიტგადასახლებულთა საზოგადოება“ (რსფსრ – 1921 წ. / საქართველოს სსრ – 1922 წ.), შემდგომ – „ძველ ბოლშევიკთა საზოგადოება“ (რსფსრ – 1922 წ. / საქართველოს სსრ – 1928 წ.) და „ყოფილ წითელგვარდიელთა და წითელ პარტიზანთა საბჭო“ (1930 წ.). პოლიტკატორღელთა საზოგადოება შედარებით მრავალფეროვანი იყო – მასში ბოლშე-

4 საქართველოს შსს აკადემიის არქივი, მე-2 განყოფილება (ყოფილი „იმელის“ არქივი), ფონდი №93

ვიკთა გარდა სხვა რევოლუციური პარტიების წარმომადგენლებიც შედიოდნენ, რომლებიც პოლიტიკური კატორღისა და გადასახლების სტაჟით იყვნენ წარმოდგენილი, თუმცა მათი რიცხვი საბჭოთა პოლიტიკური ტერორის და თავად ორგანიზაციის პერიოდული წმენდის შედეგად თანდათან მცირდებოდა. წითელპარტიზანთა საბჭო შემადგენლობით უფრო მასობრივი – სამოქალაქო ომის ვეტერანებით იყო გაჯერებული, ძველ ბოლშევიკთა საზოგადოება კი ფაქტობრივად კომუნისტური პარტიის ძველ გვარდიას – 1920-იანი წლების ელიტის გაერთიანებას წარმოადგენდა.

მისი არსებობა 1922 წლიდან იწყება – დაფუძნდა მოსკოვში სტაჟიან ბოლშევიკთა ჯგუფის ინიციატივით და ოფიციალურად გაფორმდა რკპ(ბ) ცეკას 1922 წლის 13 თებერვლის დადგენილებით. „ძველ ბოლშევიკთა სრულიად საკავშირო საზოგადოება“ ცეკას პარტიის⁵ განყოფილებასთან მოეწყო. მასში გაწევრების პირობა – 18 წლიანი უწყვეტი სტაჟი იყო. 1922 წლისათვის საზოგადოებაში 64 წევრი იყო, ხოლო 1935 წლის დამდეგისათვის კი – 2000-ზე მეტი.⁶

წესდების მიხედვით, საზოგადოების ამოცანა პარტიის გაძლიერების უზრუნველყოფა და ლენინური ხაზის დაცვა იყო. საზოგადოება ასევე მიზნად ისახავდა რევოლუციური ბრძოლის გამოცდილების გადაცემას პარტიის ახალი თაობებისათვის, წევრთა – ვეტერანთა ურთიერთდახმარებას, ბოლშევიკური პარტიის ისტორიის შესახებ მენსიერების ფიქსაციას (მოგონებების სერიების სახით) და კვლევების წახალისებას.

საზოგადოების მმართველობით ორგანოს ცენტრალური საბჭო და მუდმივმოქმედი პრეზიდიუმი წარმოადგენდა. სრულიად საკავშირო საზოგადოებას თავისი განყოფილებები ჰქონდა გახსნილი სხვადასხვა ოლქებსა და მოკავშირე რესპუბლიკებში.

1922 წელს ძველ ბოლშევიკთა საზოგადოება და პოლიტკატორღელთა საზოგადოება გახდნენ რევოლუციისათვის მებრძოლთა დახმარების საზოგადოების – „რემედასის“ (МОИР) დაფუძნების ინიციატორები და საკუთარი არსებობის ბოლომდე აქტიური კონტრიბუტორები.

მთელი 1920-იანი წლების განმავლობაში, სსრკ-ში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების და ბოლშევიკური კამპანიების პარალელურად, ძველ ბოლშევიკთა საზოგადოებაც ერთგვებოდა სხვადასხვა აქციებში – იღებდნენ შეფობას სხვადასხვა საწარმო-ორგანიზაციებსა და მეურნეობებზე, საზოგადოების წევრი ძველი ბოლშევიკები მონაწილეობდნენ კომუნისტური ოფიციალური დღესასწაულებისათვის გამართულ საჯარო ღონისძიებებში, გამომცემლობაში იბეჭდებოდა მათი მემუარები, საკავშირო საზოგადოება ბეჭდავდა საკუთარ ჟურნალს და ფლობდა გამომცემლობას. ამავდროულად, ვითარდებოდა მათი ინფრასტრუქტურაც – ძველ ბოლშევიკთა საზოგადოება ფლობდა დასასვენებელ სახლებს, დახურულ სასადილოებს, მეურნეობებს და ა.შ. 1935 წლისათვის საზოგადოების საქართველოს განყოფილება სულ 351 120 მანეთის ღირებულების უძრავ-მოძრავ ქონებას ფლობდა.⁷

5 პარტიის ისტორიის კომისია

6 Общество старых большевиков, *Энциклопедия Всемирная история*, https://w.histrf.ru/articles/article/show/obshchestvo_starykh_bolshievikov_osb (17.11.2019)

7 საქართველოს შსს აკადემიის არქივი, მე-2 განყოფილება (ყოფილი „იმელის“ არქივი), ფონდი №93, ანაწერი №1, საქმე №80, გვ. 3.

საზოგადოების წევრთა მობილიზების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება და ფინანსური ამონაგების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმღები „რემედასი“ იყო, რომელსაც გაერთიანებული სექტორი ჰქონდა ძველ ბოლშევიკთა საზოგადოებასთან.⁸

საზოგადოებამ თვითლიკვიდაცია 1935 წლის 16 მაისს გამოაცხადა; ოფიციალური საბაზით – რომ მან ამოწურა მასზე დაკისრებული ამოცანები და მუშაობის გაგრძელების საჭიროება აღარ იდგა.

საზოგადოების ლიკვიდაციის რეალური მიზეზების კვლევა კვლავაც აქტუალურია: ცხადია, 1934 წელს სერგეი კიროვი მკვლელობის შემდეგ პარტიის ტოტალური წმენდისათვის რეჟიმის მზადების ფონზე ბოლშევიკთა ძველი გვარდიის რიგები ერთ-ერთ მთავარ სამიზნედ იქცა. 1934-1935 წლების განმავლობაში საზოგადოების პრეზიდენტი მის განყოფილებებს გამუდმებით მოუწოდებდა⁹ სიფხიზლისაკენ, ახალი წევრების დეტალური შემოწმების შემდეგ მიღების აუცილებლობაზე საუბრობდა და ასევე სთხოვდა განყოფილებებს გადაემუშავებინათ მასალები არსებულ წევრებზე, რათა შემაღდგენლობაში „შემოპარული ტროცკისტები“ და „მტრები“ გამოეველინათ.

შესუსტდა „რემედასის“ აქტუალობაც, სსრკ-ს პოლიტიკური კურსის შემობრუნების გამო „საერთაშორისო რევოლუციის“ იდეის უკანა პლანზე გადასვლის კუთხით და შესაბამისად, ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების კონტრიბუციის საჭიროებაც შესუსტდა.

ამასთანავე, მთელი სსრკ-ს მასშტაბით აქტიურ ფაზაში შევიდა სტალინის პიროვნების კულტის დანერგვა; შეიქმნა ბოლშევიკური პარტიის ისტორიის „ახალი სახარება“; სადაც მთავარი მოქმედი პერსონაჟი – სტალინი იყო.¹⁰ ბოლშევიკური პარტიის ძველი გვარდიის ცოცხალი წარმომადგენლები, განსაკუთრებით საქართველოში, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რადგან მათ მოგონებებში არსად ფიგურირებდა სტალინი – როგორც ლიდერი, ხოლო თავადაც უკვე პარტიის ისტორიის ახალ ნარატივში დაკარგეს რომანტიზებული გმირების ფუნქცია და შესაბამისად მათი საზოგადოებრივი გაერთიანებაც არასასურველ აქტორად ჩანდა „სტალინური“ პარტიისათვის.

საზოგადოების თვითლიკვიდაციიდან 3 წლის თავზე მის წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე ფიზიკურად განადგურებული იყო; მათი ნაწერები „მთავლიტიმა“ ბიბლიოთეკებიდან ამოიღო, დასაბეჭდად გამზადებული მემუარები თაროზე გადადეს, ქუჩებს სახელები გადაარქვეს და „რევოლუციისათვის მებრძოლ გმირთა“ კვალი გულმოდგინედ წაშალეს.

ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების საქართველოს განყოფილების წევრთა – რეპრესიების მსხვერპლთა კლასტერის გასაანალიზებლად, 2019 წლის განმავლობაში დავამუშავეთ საქართველოს სსრ კომპარტიის ყოფილ არქივში (ე.წ. „იმელის“ არქივი) არსებული მისი საარქივო ფონდი #93. წევრთა სიების შეჯერების და პირადი საქმეებიდან საანკეტო მონაცემების ამოღების შემდეგ, მაქსიმალურად დაზუსტდა მათგან რეპრესიების მსხვერპლთა შესახებ ინფორმაცია ყოფილი საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტე-

8 იქვე. გვ. 11.

9 საქართველოს შსს აკადემიის არქივი, მე-2 განყოფილება (ყოფილი „იმელის“ არქივი), ფონდი №93, ანაწერი №1, საქმე №87, გვ. 19.

10 მაგ. „იმელის“ თბილისის ფილიალის ცნობილი ნაშრომი, რომელიც ლავრენტი ბერიას ავტორობით დაიბეჭდა – „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხებისათვის“, 1935 წ.

ტის საარქივო ფონდებში¹¹ და სხვა ღია ბაზებში,¹² რომლებიც რეპრესიების მსხვერპლთა მონაცემებს ასახავენ.

კლასტერის სტატისტიკური ანალიზი მიზნად ისახავდა, ამოღებული ინფორმაციის ინტერპრეტირებით გადაგვემოწმებინა რამდენიმე თეზისი, რომელიც კოლექტიურ მეხსიერებაში არის დამკვიდრებული, კერძოდ, რომ:

- ბოლშევიკთა ძველი გვარდიის დიდი ნაწილი განადგურდა 1937-1938 წლებში
- რომ მათი პირადი მეხსიერება და გამოცდილება საფრთხეს უქმნიდა სტალინის კულტის დანერგვას
- და რომ მათი უმრავლესობა ძველთაგანვე სტალინური პოლიტიკის ოპოზიციაში იყვნენ.

ამავე დროს სტატისტიკური ანალიზი საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ საზოგადოების ეს სეგმენტი და მსხვერპლთა ჯგუფი – დავაკვირდეთ მის ეთნიკურ სპექტრს, სოციალურ ფონს, განათლების დონეს, პროფესიულ პროფილს და აშ.

ანკეტური მონაცემების ანალიზისათვის გამოიყო შემდეგი ელემენტები:

- დაბადების წელი
- ეროვნება
- სოციალური წარმოშობა
- დაბადების ადგილი (მხარე, ქალაქი, სოფელი)
- განათლება
- პროფესია
- პარტიული სტაჟი
- ბოლო სამუშაო ადგილი (სფერო)
- დაპატიმრების თარიღი
- გასამართლების თარიღი
- ბრალდების ფორმულირება
- სასჯელის ზომა
- დახვრეტის თარიღი

მონაცემთა დამუშავებისას მაქსიმალურად დეტალურად გაანალიზდა მსხვერპლთა სეგმენტი, თუმცა რეპრესიებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ფრაგმენტულობის გამო (უმრავლეს შემთხვევებში შემორჩენილია მხოლოდ რეპრესიული ორგანოების სხდომის ოქმები, რადგან რეაბილიტირებულთა საგამოძიებო საქმეები განადგურდა ხანძრის შედეგად) მონაცემების ინტერპრეტაციაში თავისთავად მცირე ცდომილებები არის გასათვალისწინებელი, თუმცა საერთო სურათს იგი რადიკალურად არ ცვლის.


11 საქართველოს შსს აკადემიის არქივი, 1-ლი განყოფილება (ყოფილი საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივი), ფონდი №8.

12 სტალინური სიები საქართველოდან – ელექტრონული მონაცემთა ბაზა. კვლევა ჩაატარა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა IDFI, ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს და საქართველოში შვეიცარიის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის პარტნიორები – საქართველოს შსს არქივი და საერთაშორისო საზოგადოება „მემორიალი“.

ასევე მხედველობაშია მისაღები გარემოება, რომ ძირითად ასპექტებში მსხვერპლთა სეგმენტის სტატისტიკური მონაცემები, დიდად არ განსხვავდება საერთო ჯგუფის მონაცემებისაგან და მცირე ცდომილების გათვალისწინებით, შეიძლება დასკვნების განზოგადება.

კომუნისტური პარტია თავადაც დიდი ყურადღებით ეკიდებოდა პარტიული კადრების აღრიცხვა-სტატისტიკას და მისი სპექტრის ანალიზს. საქართველოს სსრ-ს შემთხვევაში პირველი მსგავსი კვლევა (შიდა მოხმარებისათვის) 1922 წელს ჩატარდა. მასში ყურადღებას იქცევს¹³ მკვლევართა ჯგუფის მიერ დასმული მწვავე კითხვები, მაგ. – მუშათა თუ გლეხთა – სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (ბოლშევიკების)? ამ დროისათვის კი აღმოჩნდა რომ მუშა-პროლეტართა წილი პარტიაში 13% იყო, ხოლო გლეხთა კი – 65%. ანალოგიურად – ძველი ბოლშევიკების საზოგადოების წევრთა სტატისტიკის ანალიზი მსგავს მოულოდნელ პასუხს გვთავაზობს და წინასწარგანწყობით განპირობებულ მოცემულობას საკმაოდ არყევს, რადგან ძველ ბოლშევიკთა საზოგადოება ძალიანაც „ძველი“ არ აღმოჩნდა.

პარტიული სტაჟის სტატისტიკა აჩვენებს მკვეთრად გამოყოფილ ჯგუფს, რომელთა პარტიაში შესვლის პერიოდი 1902-1907 წლებს განეკუთვნება. შესაბამისად – მთელი ჯგუფის 70% წარმომადგენლის პარტისტაჟი საქართველოში სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური მოძრაობის მეორე და მესამე თაობებს შორის არის გაბნეული.




1922 წლის აღწერით, საქართველოს კომპარტიაში 1917 წლამდე სტაჟით საერთო მასის მხოლოდ 5,9 % იყო წარმოდგენილი (სულ 623 ადამიანი, 10 501-დან), 1902 წლამდელი სტაჟი კი მხოლოდ 117 ადამიანს ჰქონდა. ხოლო 1902-1907 წლების კი – 317-ს, რაც ამ სეგმენტის (1917 წლამდე სტაჟიანების) 50,8 %-ს წარმოადგენს და რაც ახლოსაა ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების რეპრესირებული სეგმენტის საშუალო მაჩვენებელთან.

13 К итогам переписи КПП, 1923 წ. თბილისი. უთავფურცლო, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის საზოგადოებრივი არქივი.

ირაკლი ხვადაგიანი

ამ მონაცემს ლოგიკურად ავსებს ჯგუფის ასაკობრივი სპექტრის დიაგრამაც, რომლის მიხედვითაც, დაბადების წლიდან გამომდინარე, გამოკვეთილია დომინანტი ჯგუფი, საშუალოდ 60 %-მდე – 1880-იანების თაობა. შესაბამისად, ამ დომინანტი ჯგუფის პარტსტაჟიც 1902-1907 წლებთან კორელირებს, და გამოკვეთს ახალგაზრდა რევოლუციონერების ტიპურ თაობას, რომლებიც პარტიულ ორგანიზაციებში 20 წლის ასაკიდან ებმებიან.



ამ სეგმენტის ზოგადი სოციალური ფონი შემდეგ სურათს გვაძლევს:

ეროვნება:

ქართველი – 70,6 %

სომეხი – 23,5 %

რუსი – 4,7 %

ოსი – 1,2 %

სოციალური წარმომავლობა (ყოფილი წოდებები):

გლეხი – 59%

მოქალაქე – 27,7 %

აზნაური – 8,4 %

სასულიერო – 3,6 %

გაურკვეველი – 1,2 %


წარმოშობის გეოგრაფიული არეალის მიხედვით შემდეგი ბალანსი იკვეთება:

სოფელი – 54,9 %

ქალაქი – 45,1 %

საინტერესოა, რომ დაბადების ადგილის (სოფელი, მხარე, ქალაქი) მიხედვით გამოირჩევა დასავლეთ საქართველო, რომელზეც სეგმენტის 56 % მოდის.


საქართველოს ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წმენდა 1936-1938 წლებში...



საკმაოდ ჭრელი და არაერთგვაროვანია განათლების ცენზის სპექტრი:


- დაწყებითი – 27 %
- თვითგანათლება – 25,7 %
- საშუალო – 21,6 %
- უმაღლესი – 14,9 %
- სპეციალური – 10,8 %

მათი პროფესიული საქმიანობის სპექტრი კი შემდეგნაირად გამოიყურება:



შესაბამისად კი, 1921 წლამდე, საოკუპაციო ხანის დასაწყისამდე მათი სოციალური სტატუსი ასეთ სურათს გვაძლევს:

ირაკლი ხვადაგიანი




ამ მონაცემთა ინტერპრეტაცია გვაძლევს შემდეგი განზოგადების საშუალებას, რომელიც მეტნაკლებად ტიპურია ძველი ბოლშევიკის დასახასიათებლად – 1880-იანი წლების თაობის წარმომადგენელი, დასავლეთ საქართველოდან ან ქალაქში მიგრირებული გლეხური ოჯახიდან, დაბალი განათლებით, მუშა-მოსამსახურეთა სოციალური ჯგუფიდან, რომლის ჩაბმაც პარტიულ ორგანიზაციებში და რევოლუციურ მოძრაობაში 1902-1907 წლების მონაკვეთს უკავშირდება.

1936-1938 წლების განმავლობაში, ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების საქართველოს სსრ განყოფილების ლიკვიდაციის მომენტში (1935 წ.) მის შეადგენლობაში მყოფ წევრთა 54 % დიდი ტერორის მსხვერპლი გახდა.


მათი რეპრესიის დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

დაპატიმრების ფაზები




ძველ ბოლშევიკთა დაპატიმრების ყველაზე აქტიური ფაზა 1937 წლის მაის-ივნისსზე მოდის.

გასამართლების ფაზები



სადამსჯელო გადაწყვეტილების აქტიური ფაზა კი ამავე წლის ივლის-სექტემბერზე.

ბრალდების ფორმულირება, რომლითაც ტერორის აპარატი ცდილობდა მის მიერვე შეთხზული „შეთქმულებების“ სცენარების გამყარებას და დასაბუთებას, ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების რეპრესირებულ სეგმენტთან მიმართებაში შემდეგნაირად გამოიყურება:




როგორც ცხადად ჩანს, მსხვერპლთა სეგმენტში ორი ძირითადი ჯგუფი დომინირებს – ე.წ. „მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა“ და „ტროცკისტული კონტრრევოლუციური ორგანიზაციის“ წევრობის ბრალდებით რეპრესირებული ძველი ბოლშევიკები. სხვა მოზრდილი ჯგუფების სტატისტიკაში ამ ფორმით წარმოდგენის მიზეზი წყაროების – სადამსჯელო ორგანოების ოქმების არასრულყოფილი შენახვა და დამუშავებაა, რაც ბრალდების ზუსტ ფორმულირებას არ ასახავდა.

რამდენადაც მსხვერპლთა შორის „მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია“ ფიგურირებს, საინტერესოა, რომ სწორედ ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრთა აქტიური დაპატიმრებების ფაზის დასასრულიდან მალევე 1937 წლის 20 ივლისს ლავრენტი ბერიამ სტალინს და საკავშირო შინსახკომს ანგარიშის სახით მოახსენა¹⁴ საქართველოს სსრ-ში კონტრრევოლუციური ორგანიზაციების გამოვლენის შესახებ, მათ შორის კი ძირითადი აქცენტი „მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციაზე“ კეთდებოდა, რომელიც ბერიას მტკიცებით 1928 წელს თბილისში ბუხარინის ვიზიტის შემდეგ ჩამოყალიბდა და მალე მთელს ამიერკავკასიაში აამოქმედა თავისი ქსელი, ხოლო 1935 წლიდან კი „ტროცკისტთა“ და კავკასიელ „ნაციონალისტთა“ – „მენშევიკების, დაშნაკების და მუსავათისტების“ არალეგალურ ორგანიზაციებს დაუკავშირდნენ და ერთიანი ცენტრი შექმნეს – ასევე გააბეს კავშირები „კაპიტალისტური და ფაშისტური ქვეყნების დაზვერვასთან“. ბერია ანგარიშში ასახელებდა ცენტრის სტრუქტურას, ძიების განვითარების მოცემულ ეტაპს და ცენტრს სთხოვდა სანქციას მორიგი დაპატიმრებების განსახორციელებლად და დახვრეტის ლიმიტის მონახაზს წარუდგენდა.

რამდენადაც „მემარჯვენე ოპოზიციის“ და „მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა და ცენტრის“ საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ პროფილად საბოტაჟი და მავნებლობა სახელდებოდა, მოულოდნელი არ არის, როდესაც შევხედავთ რეპრესირებულ ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრებს, მათი საქმიანობის პროფილი ძირითადად მომსახურეობის სფეროს (წარმოება, მეურნეობა, სახელმწიფო სერვისები) უკავშირდება.

14 Документ №142. Записка Л.П. Берии И.В. Сталину о “контрреволюционных” группах в Грузии. 20.07.1937, *Фонд Александра Н. Яковлева*, <https://www.alexanderyakovlev.org/fond/issues-doc/61124> (17.11.2019)

საქართველოს ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წმენდა 1936-1938 წლებში...



როგორც პროფესიული სპექტრი აჩვენებს, ძველ ბოლშევიკთა დიდი ნაწილი ტიპურ „წითელ ღირეცტორებს“ წარმოადგენდნენ:

- მომსახურეობის სფეროში წარმოდგენილი რეპრესირებულების პროცენტული წილი დაახლოებით – 46 %-ია
- პოლიტიკურ პოზიციებზე მყოფთა (პარტიული ორგანოები, აღმასრულებელი ხელისუფლება, სასამართლო) – 23,8 %
- სახელმწიფო ბიუროკრატიაში დასაქმებულების – 15,8 %

შესაბამისად – ისინი კარგად ჩაჯდნენ „მემარჯვენე ოპოზიციის“ მავნებლური შეთქმულების ქსელის გამოვლენის სცენარში.

რეპრესირებულთა სეგმენტის 82 % ე.წ. „სტალინური სიების“ კონტიგენტია – მათი სასჯელის ზომა პოლიტიბიურომ დაადასტურა.

უშუალოდ ოპერაციულ დონეზე მათგან:

- 54,1 %-ს სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გამსვლელმა სესიამ გამოუტანა განაჩენი
- 40 % საქართველოს სსრ შინსახკომის განსაკუთრებულმა სამეულმა (ე.წ. „ტროიკა“)
- 3,5 % – საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს სპეცკოლეგიამ

განაჩენი კი მკაცრი და ცალსახა იყო – ფიზიკური განადგურება. რეპრესირებულთა სეგმენტის სასჯელი ზომის სტატისტიკა შემდეგია:

- დახვრეტა – 94 %
- გადასახლება შრომა-გასწორების კოლონიაში – 4 %

1 %-მდე მოკვდა შინსახკომის მიერ გამოძიებისას გამოყენებული წამებისა და საპატიმროებში არსებული მძიმე პირობების გამო.

დასკვნის სახით, შეგვიძლია გაანალიზებული მონაცემების ინტერპრეტაციით გადავსინჯოთ კოლექტიურ მენსიერებაში არსებული სტერეოტიპული წარმოდგენები და შემდეგი ვერსია წარმოვადგინოთ:

ძველ ბოლშევიკთა მნიშვნელოვანი ნაწილი (1917 წლამდე პარტისტაჟით) მართლაც მკაცრი და დაუნდობელი წმენდის მსხვერპლი გახდა დიდი საბჭოთა ტერორის დროს, რომელსაც, უხეშად – თითქმის ყოველი მესამე მათგანი შეეწირა. თუმცა, მხოლოდ „ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების“ კონტიგენტის მონაცემთა ანალიზით სრულფასოვანი სურათის წარმოდგენა ვერ მოხერხდება, რადგან საზოგადოების საქართველოს სსრ განყოფილება 1928 წელს ჩამოყალიბდა. მასში ვერ მოხვდა ბოლშევიკთა ძველი გვარდის მნიშვნელოვანი ნაწილი – უხუცესები და ავტორიტეტული ლიდერები, რომლებიც „ტროცკისტული ოპოზიციის“ დამარცხების შედეგად პარტიიდან გარიცხულნი და რეპრესირებულნი იყვნენ. მათგან მხოლოდ მცირე ნაწილი მიიღეს 1930-იანი წლების პირველ ნახევარში საზოგადოების წევრად (რაც შემდეგ აისახა კიდევაც ბრალდების ფორმულირების ზემოთ მოყვანილ სტატისტიკაში, სადაც „ტროცკისტული ცენტრის“ წევრები 17,2 %-ია). შესაბამისად საზოგადოების ძირითადი მასა (ანალოგიურად ძველ ბოლშევიკთა მთელი სეგმენტი) არც ისე ძველი თაობის წარმომადგენელი იყო (1902-1907 წწ.) – ისინი იოსებ სტალინის თაობას არ განეკუთვნებოდნენ და ნაკლებად რეალურია არგუმენტი, რომ ისინი ბელადის უხერხული წარსულის უშუალო მოწმეები იყვნენ. ამასთანავე, მათი დიდი ნაწილი 1926-1928 წლების პარტიული განხეთქილების და ოპოზიციური ბრძოლისას სტალინური კურსის ერთგულებად დარჩნენ, შესაბამისად ვერ ჩაითვლებიან პარტიის შიგნით არსებულ არასაიმედო ფრაქციად. ისინი დიდი საბჭოთა ტერორის დროს კლასიკური – „შეკერილი“ სცენარის სტატისტიკადა, უუფლებო მსხვერპლად აქცია ტერორის სტალინურმა მანქანამ.

გამოყენებული ლიტერატურა

К итогам переписи КПП, 1923 წ. თბილისი. უთავფურცლო, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის საზოგადოებრივი არქივი.

Общество старых большевиков, *Энциклопедия Всемирная история*, https://w.histrf.ru/articles/article/show/obshchestvo_starykh_bolshievikov_osb (17.11.2019)

სტალინური სიები საქართველოდან – ელექტრონული მონაცემთა ბაზა. კვლევა ჩაატარა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა IDFI, ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს და საქართველოში შვეიცარიის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის პარტნიორები – საქართველოს შსს არქივი და საერთაშორისო საზოგადოება „მემორიალი“.

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=26> (17.11.2019)

საარქივო მასალა

საქართველოს შსს აკადემიის არქივი, მე-2 განყოფილება (ყოფილი „იმელის“ არქივი), ფონდი №93, ანაწერი №1, საქმე №80

საქართველოს შსს აკადემიის არქივი, მე-2 განყოფილება (ყოფილი „იმელის“ არქივი), ფონდი №93, ანაწერი №1, საქმე №87

საქართველოს შსს აკადემიის არქივი, მე-2 განყოფილება (ყოფილი „იმელის“ არქივი), ფონდი №93

საქართველოს შსს აკადემიის არქივი, მე-2 განყოფილება (ყოფილი „იმელის“ არქივი), ფონდი №14, ანაწერი №28, საქმე #№90.

Документ №142. Записка Л.П. Берии И.В. Сталину о “контрреволюционных” группах в Грузии. 20.07.1937, Фонд Александра Н. Яковлева, <https://www.alexanderyakovlev.org/fond/issues-doc/61124> (17.11.2019)